საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 01 მარტი, 2023 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/26

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილების (ოქმი N 33) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში და დებულების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი. დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურას შეარჩევს ღია ან ფარული კენჭისყრით და გადაწყვეტილებას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს. უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტის ხელმძღვანელს. დეკანის მიერ დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურის 1 თვის ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში რექტორი უფლებამოსილია თავად დანიშნოს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინიშნება 4 წლის ვადით.“.

2. ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**